დადგენილება:**დ-37. 37231672**
თარიღი:**16/06/2023**

დადგენილება N14

2023 წლის 16 ივნისი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/12/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016482), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **7 316 246,98 ლარით:**

1. სხვა შემოსავლები, შემოსავლების პროცენტებიდან **(ორგანიზაციული კოდი 1411) – 150 000 ლარით;**

2. სხვა შემოსავლები, სანებართვო მოსაკრებელი **(ორგანიზაციული კოდი 14223) – 100 000 ლარით;**

3. შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის #147 განკარგულებაში ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა **1 466 246,98** ლარი. მათ შორის:

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება - **1 466 246,98** ლარი;

4. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის #545 განკარგულებით

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი **530 000** ლარი;

5. ასევე, დაზუსტდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის #53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვა, კერძოდ:

ა) 2023 წლის 13 აპრილის #700 განკარგულებით შევიდა ცვლილება 20 იანვრის საქართველოს მთავრობის #116 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე", რომლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **5070000** (ხუთიმილიონ სამოცდაათიათასი) ლარი;

ა.ა) **გაიზარდოს შემოსავლები:** სპეციალური ტრანსფერები (პროგრამული კოდი 1.1.3.1.1.1.3.) – 5 070 000 ლარით;

ა.ბ) **შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები:** სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, სხვა ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 2.8.2.2.) – 5 070 000 ლარით;

- **შესაბამისად გაიზარდოს:**

6. საქართველოს მთავრობის #147 განკარგულებით გამოყოფილი თანხით საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები **(ორგანიზაციული კოდი - 04 02 01– 2.2.) – 1 466 246,98 ლარით;**

7. საქართველოს მთავრობის #545 განკარგულებით გამოყოფილი თანხით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა **(ორგანიზაციული კოდი - 02 06 02 – 2.8.2.2.) – 530 000 ლარით;**

8. საკუთარი შემოსავლებიდან შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 02 04 02– 61.1.2.11.) – 100 000 ლარით;**

9. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა , საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 01– 2.2.10.12.) – 50 000 ლარით;**

10. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა , სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 01– 2.2.10.12.) – 50 000 ლარით;**

11. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტული კლუბების ხელშეწყობა, ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 03 – 2.5.) – 50 000 ლარით;**

- შემცირდეს :

12. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 05 – 2.7.) – 17 000 ლარით;**

13. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 02 – 2.5.) – 52 700 ლარით;**

14. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა (**ორგანიზაციული კოდი - 02 03 02 – 61.1.1.1.) – 65 000 ლარით;**

- **შესაბამისად გაიზარდოს:**

15. ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, სუბსიდია (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 01 – 2.5.) – 17 000 ლარით;**

16. სპორტული კლუბების ხელშეწყობა, შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 03 – 2.5.) – 52 700 ლარით;**

17. სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - 04 01 02– 61.1.1.2.) **– 65 000 ლარით.**

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი